საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №129-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა“.

ი.მ.ა „ნუცუბიძე 2014“-ის ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №129-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №129-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს „გენგეო“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ მიერ 2014 წლის ივლისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟ. გეოლოგი მ. ბაბილოძე.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 5გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. მიწერილობა---------- 2 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 1ფურც
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 3 ფურც

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფით. სენობის ზომებია გეგმაში 17.0X34.0 მ. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება შენობის

საძირკვლის კონსტრუქციასა და ჩაღრმავებას, იგი გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი. მათი საერთო სიგრძე შეადგენს 35 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, მოედანზე გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი გრუნტი
2. ფენა – 2 – თიხნარი
3. ფენა – 3 – გამოფიტული ქვიშაქვები და სუბარგილითები

ანგარიშში მოცემულია ზემოაღნიშნული ფენების (გარდა ნაყარისა) საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. თიხოვანი გრუნტების თვისებები განსაზღვრული იყო „გენგეო“-ს ლაბორატორიაში. რაც შეეხება კლდოვან ქანებს, გამოყენებული იქნა მასალები, რომელიც მოიპოვა ფირმამ გასულ წელს საკვლევი ობიექტის მეზობელი შენობის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევისას. მასალები ინახება ფირმის არქივში. ავტორი იძლევა თავის წინადადებას შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ.№129-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/